თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6007438

ნომერი: AR1885883

თარიღი : 27.06.2022

გაცემის თარიღი : 28.06.2022

გაცნობის თარიღი : 28.06.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ამაღლების III ჩიხი, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკა კემულარია პ/ნ 62005000668
- ოჩამჩირე ფ.ენგელსის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ფანჩატური
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2022 წლის 27 ივნისის AR1885883, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ამაღლების III ჩიხი N6-ში ფანჩატურის მოწყობის საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.15.05.090.027) ნაწილზე , დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი/რუკის მიხედვით ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, სადაც დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობანაგებობებისა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ფოტომასალის და ფოტომონტაჟის მიხედვით ფანჩატურის განთავსება ხდება სწორედ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას, ქ.თბილისში, ამაღლების III ჩიხი N6-ში ფანჩატურის მოწყობის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.